დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (საჩხერე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ დამატების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
გიორგი ნაჭყეპია (დარგის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173
სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2024 წლის 06 ივნისს გამოცემული N 632170 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ქ. საჩხერეში, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ვებტექნოლოგიები", საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2024 წლის 26 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. საჩხერეში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები" ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა მიერ, საუკეთესო გამოცდილებად შეფასდა აკადემიის გუნდის მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და პროფესიული ზრდისკენ. აღსანიშნია, რომ აკადემია ერთ-ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც 2019 წლის დეკემბერში გახდა ISO 9001:2015 სერთიფიკატის მფლობელი, ხოლო 2018 წლის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აკადემიას მიენიჭა წლის საუკეთესო პარტნიორის ტიტული. კოლეჯების ბრენდირების ფარგლებში 2016-17 წლებში 2-ჯერ დაჯილდოვდა უმაღლესი შეფასებით 5 ვარსკვლავით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია არის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი, ასევე საქართველოს პროფესიული კონსულტირების ასოციაცის პარტნიორი ორგანიზაცია.

აკადემია თანამშრომლობს ორმოცდაათზე მეტ კომპანიასა და ორგანიზაციასთან. კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ სტუდენტთა სტაჟირებისა და მათი შემდგომ დასაქმების საქმეში.

საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ აკადემიას პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისთვის შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse საგამოცდო სირვცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა და მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები. პროგრამა საშუალებას აძლევს პროფესიული სტუდენტს გაეცნოს საკუთარ შედეგს კონფიდენციალურობის, ასევე გამჭირვალობისა და სამართლიანობის დაცვით.

შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (პირობები, დრო, აპელაციის პროცედურა და სხვ). პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას.

იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტს რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი. დასრულების შედგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და სწორი პასუხების რამდენი პროცენტი დააგროვა , ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან „ვებტექნოლოგიები“ დაკავშირებით აღსანიშნია, რომ აკადემიაში შექმნილია ვებტექნოლოგიების სასწავლო საწარმო, სადაც გაწევრიანებულნი არიან როგორც აქტიური სტუდენტის სტატუსი მქონე პირები, ასევე კურსდამთავრებულები, ისინი აქტიურად მუშაობენ კერძო დაკვეთებზე და სტუდენტობის პერიოდშივე ქმნიან საკუთარ პორთფოლიოებს და იღებენ ანაზღაურებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა.

III სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

IV განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია არ გაცემულა

V ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთ მიერ შემუშავებულ დასკვნის პროექტს.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	14.05.2024 წლის რექტორის N2/56 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.საჩხერე ივ.გომართელის N50ა, N52
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	75 - იმიტირებული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	75
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	114

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	144
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება გამომდინარეობს აკადემის მიისიდან, რომლის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება.მისიიდან გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის პირველ სტრატეგიულ მიზანში (ინსტიტუციური განვითარება) პირველ ამოცანას წარმოადგენს- საგანმანათლებლო მომსახურების განვითარება, რომლისთვისაც შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე კოლეჯმა ყოველწლიურად უნდა გააფართოვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი და დაიმატოს ისეთი პროგრამებიც, რომლებიც დეფიციტური, მოთხოვნადია შრომის ბაზარზე და შესთავაზოს მას კვალიფიციური კადრები.

დასაბუთების დროს აკადემია დაეყრდნო US News-მა World Report-თან ერთად, მუშახელის სტატისტიკის ბიუროს მონაცემების გათვალისწინებით, შედგენილ 2023 წლის მოთხოვნადი სამუშაო ადგილების სიას, რომელიც მოიცავს იმ პროფესიებს, სადაც მაღალია კადრებზე მოთხოვნა, მაღალია დასაქმების მაჩვენებელი. მათ შორის არის: **სოფთვეარ დეველოპერი, აიტი მენეჯერი და ვებ დეველოპერი.** პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ვებდეველოპერის პროფესია მოთხოვნადია არამხოლოდ საქართველოს ყველა რეგიონში, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მთელს მსოფლიოში. შესაბამისად, პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს როგორც ადგილობრივ კომპანიაში, ასევე საქართველოსა და მსოფლიოს ნებისმიერ ორგანიზაციაში, როგორც დაქირავებულმა სპეციალისტმა, ასევე „ფრილანსერად“.

აკადემია დაეყრდნო ასევე ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანებით განსაზღვრულ 2023 წლის პრიორიტეტებს, რომელთა შორის არის 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულება და რომელსაც აფინანსებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

აკადემიამ გაითვალისწინა ასევე **შრომის საერთაშორისო ბაზრის კვლევის მონაცემები. კერძოდ** ამერიკის უნივერსიტეტის ,,Jessup University“ – ის მიერ გამოქვეყნებულ სტატია, რომელშიც მოცემულია ის სტატისტკური და მონაცემები და ქვეყნის მოლოდინები, რომლის თანახმად, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ვებ დეველოპერებისთვის დასაქმების შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზრდება და დარგის განვითარება უზრუნველყოფს მაღალ ანაზღაურებას, დისტანციური მუშაობის პოტენციალს და უამრავ სამუშაო ადგილებს კვალიფიციური კანდიდატებისთვის.

შრომის სტატისტიკის ბიუროს თანახმად, ვებ დეველოპერებისთვის დასაქმება სავარაუდოდ გაიზრდება 16%-ით 2022-2032 წლებში, ხოლო **დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა,** რომ მუდმივად ხელმისაწვდომია ვებ დეველოპერის, გრაფიკული დიზაინერის, უმცროსი ვებდეველოპერის, ვებდიზაინერის და ვებ პროგრამისტის ვაკანსიები.

გადაწყვეტილება, ქ, საჩხერეში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ დაასაბუთა იმ ფაქტითაც, რომ ის ქ.თბილისში, ც.დადიანის მისამართზე 2020 წლიდან ახორციელებს ვებტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 75% დან 80 % მდე მერყეობს. ასევე ისიც, რომ აკადემიასი შექმნილია ვებტექნოლოგიების სასწავლო საწარმო, სადაც გაწევრიანებულნი არიან როგორც აქტიური სტუდენტის სტატუსი მქონე პირები, ასევე კურსდამთავრებულები, ისინი აქტიურად მუშაობენ კერძო დაკვეთებზე და სტუდენტობის პერიოდიანვე ქმნიან საკუთარ პორთფოლიოებს და იღებენ ანაზღაურებას. პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა მუდმივად მზარდია, განსაკუთრებით მოთხოვნადია პროგრამა ინტეგრირებული მიდგომით.

წარმოდგენილ დასაბუთებაში მკაფიოდ იკვეთება პროგრამის განხორციელების საჭიროება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

„ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და მიღების პროცედურები განსაზღვრულია კანონმდებლობით და დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში საბაზო ზოგადი განათლება. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია შიდა შერჩევის ფორმა მოტივაციური გასაუბრება, რომელიც უზუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომლებიც შეძლებენ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტით (დამტკიცებულია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია რექტორის 13.03.2024 წლის N2/22 ბრძანებით) დეტალურად არის გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა - „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის და სხვა სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები/ პროცედურები“. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

აკადემია, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას, ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიას - მუხლი 5. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში დეტალურად არის აღწერილი ის ფაქტორები, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა/დატვირთვა, სასწავლო გარემო თეორიული თუ პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე/ები, სტუდენტების რაოდენობა აუდიტორიაში, კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა, მოდულის სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობა დისტანციურად, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკის რაოდენობა, პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორი საწარმო(ები)ს შესაძლებლობები, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები) და სხვა.

მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საჩხერის ლოკაციაზე, პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობა -75 პროფესიული სტუდენტი (ინტეგრირებული მიდგომით),

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

დამტკიცებულ პროგრამას, არჩევითი მოდულები, არ აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ვებტექნოლოგიები“ დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უფლებამოსილი პირის აკადემიის რექტორის 14.05.2024 წლის N2/56 ბრძანებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

დამტკიცებული პროგრამის სახელწოდება „ვებტექნოლოგიები“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის ვებტექნოლოგიები/Web Technology, სარეგისტრაციო ნომერი 06114-ს და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე. დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- კოლეჯის მისია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა;
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანება.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ **მეტწილად შეესაბამება**
☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ **არ შეესაბამება**

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ექსპერტთა მიერ, ვიზიტის ფარგლებში, გადამოწმდა, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი და დადგინდა რომ კოლეჯის მფლობელობაში, საჩხერის ლოკაციაზე, არსებული რესურსი შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან და სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განსახორციელებლად, აკადემიაში არის 2- B გარემო, 1 - AC გარემო და 1 - A გარემო, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

B გარემო (ზოგადი წიგნიერების მოდულისთვის) აღნიშნულ გარემოში ხორციელდება მოდული ინფორმაციული წიგნიერება , თითოეულ პროგრამაზე მოდულის მოცულობის მიხედვით გარემოს დატვირთვა შეადგენს 5%;
მასში განთავსებულია:

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 25 პროფესიულ სტუდენტზე
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 25 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის - 25ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფლეშმეხსიერება 1ც.

B გარემო (დარგობრივი C ვებტექნოლოგიებისათვის) აღნიშნული გარემო სასწავლო გეგმის (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში დარგობრივი მოდულების ჭრილში) დატვირთულია ერთი ჯგუფის ფარგლებში 25%-ით, აღნიშნულ გარემოში შესაძლებელია ორცვლიანი დატვირთვით ოთხი ჯგუფის მართვა.

მასში განთავსებულია:

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 25 პროფესიულ სტუდენტზე
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 25 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტისათვის -25 ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც;
- პრინტერი(კომბაინი) 1ც;
- ფლეშმეხსიერება 1ც.

AC გარემო ინტეგრირებული მოდულების "მეცნიერება და ტექნოლოგიები" განხორციელებისათვის (ქიმიის ლაბორატორია)

მასში განთავსებულია:

- პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა და სკამი - 30 ც;
- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 30 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდულის სპეციფიკით მოწყობილი ლაბორატორია, აღნიშნულ გარემოში განთავსებულია ზოგადი ინტეგრირებული მოდულის - მეცნიერება და ტექნოლოგიების ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის კომპონენტის შესაბამისი მატერიალური რესურსები, მათ შორის - გარემოში დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, ონკანი, განთავსებულია მაშრობი კარადა, კარადები ქიმიური და ტექნოლოგიური აღჭურვილობით:, რეფრაქტომეტრით, მიკროსკოპებით, სხვადასხვა ზომის ძაბრებით სხვადასხვა ქიმიური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიური ჭურჭლით, სასწორებით, კოლბებით, სინჯარებით, ტიგელებით, შტატივებით და სხვა ქიმიური ჭურჭლით და რეაქტივებით. ამ გარემოში განთავსებულია ასევე მულაჟები და ფიზიკის ხელსაწყოები.
ინტეგრირებული პროგრამის მიზნებისათვის აღნიშნული გარემოს გამოყენება მოხდება კვირაში ერთი საათით, რაც ინტეგრირებული პროგრამის სამწლიანი სასწავლო გეგმის შესაბამისად სამი ჯგუფის არსებობისათვის შეადგენს საშუალოდ 3 საათს.

A გარემო ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების (გარდა მეცნიერება და ტექნოლოგიებისა ქიმიის კომპონენტისა) განხორციელებისათვის. აღნიშნულ გარემოში დატვირთულია საშუალოდ 20-25%, შესაძლებელია ორცვლიანი დატვირთვით 4-5 ჯგუფის მართვა.

მასში განთავსებულია:

- პროფესიული სტუდენტის მაგიდა 25 ც;
- პროფესიული სტუდენტის სკამი - 25 ც;
- პროფესიული მასწავლებლის მაგიდა 1 ც + სკამი - 1ც;
- კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული მასწავლებლის - 1ც;
- დემონსტრირების საშუალება - 1 ც;
- დაფა - 1ც

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივ B გარემოში განთავსებული კომპიუტერები არის მეცამეტე თაობის (ოპერატიული მეხსიერება 16გბ, 64 ბიტიანი ოპერაციული სისტემა).

წარმოდგენილი რესურსი, რაც ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა, სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევას, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის. აქვე **ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს - 28 განმახორციელებელს, მათ შორის: ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი 22,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 6. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლებიც პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა, არ აღემატება კვირაში 40 საათს და სრულად უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ექსპერტთა მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგებით, ასევე მათ პირად საქმეებში განთავსებული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის აკადემიას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები. ისინი შერჩეულნი არიან აკადემიის მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავს განმახორციელებლების პროფესიულ განვითარებაზე, რისთვისაც საჭიროებისამებრ ტარდება შიდა თუ გარე ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი, რაც მასთან გასაუბრებითაც დადასტურდა. იგი არის ამავე აკადემიის კურსდამთავრებული და არის მოტივირებული სათანადოდ უხელმძღვანელოს პროფესიული პროგრამის განხორციელებას, მას სრულად აქვს გათავისებული მისი ფუნქცია-მოვალეობები, რაც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში (შპს (ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია, მუხლი 19).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის არსებობა ადგილზე და დადგინდა, რომ რესურსი სრულყოფილად არის წარმოდგენილი დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური ასევე ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში სამუშაო სივრცე აღჭურვილია კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო ელექტრონული რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ, ვიზიტის ფარგლებში, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია პანდუსები, ადაპტირებულია სველი წერტილი. ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (32-ე მუხლი. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; 51-ე მუხლი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი) დეტალურად არის გაწერილი, თუ როგორ უზრუნველყოფს აკადემია სსსმ პირების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. აკადემია მზადყოფნას გამოთქვამს უზრუნველყოს პირის სასწავლო პროცესი, იმ შემთხვევაშიც, თუ საჭირო გახდება დამხმარე ტექნიკა ან პროგრამული უზრუნველყოფა, როგორიცაა, მაგალითად სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, მოდულების მოდიფიკაცია, რაც ნიშნავს სწავლის შედეგების ცვლილებას, მაგ: მათი გამარტივება.

ასევე დადგინდა, რომ აკადემიაში ხელმისაწვდომია ინდივიდუალური მეცადინეობების, მასწავლებელთა კონსულტაციისა და სასწავლო პროცესის თანამშრომელთა მხრიდან ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისები. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 18 -ს ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის და 20-ს არაინტეგრირებული პროგრამისთვის. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

ბიუჯეტის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით (ბოლო ცვლილება - N2/22 13.03.2024) დამტკიცებული "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

წარმოდგენილი „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2023 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით, დასტურდება, რომ აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, როგორც პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO 9001:2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. არსებული ხარისხის შესანარჩუნებლად ხორციელდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტი, ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზება ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასება, შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმებით განსაზღვრულია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ეტაპებიც, რომლებიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: მონაცემების შეგროვება, მონაცემების დამუშავება და მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.
მტკიცებულებად აკადემიამ წარმოადგინა 2024 წელს ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკთხვის შედეგების ანალიზის დოკუმენტები. როგორც ირკვევა, გამოკითხვები ჩატარდა მაისი - ივნისის პერიოდში, რომლის მიზანიც იყო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და სწავლების ხარისხის შეფასება, პროფესიული სტუდენტების საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. **პროფესიულ სტუდენტთა კვლევა** განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. გამოკითხვაში, რომელიც განხორციელდა Google Drive-ზე განთავსებულ სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ორივე ლოკაციის - თბილისისა და საჩხერის პროფესიულმა სტუდენტებმა. კვლევის მიმდინარეობისას დაცული იყო კონფიდენციალურობა და კვლევის ეთიკის პრინციპები.მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაიცა რეკომონდაციები -პროფესიულ სტუდენტთათვის მათი უფლება - მოვალეობების, მარეგულირებელი დოკუმენტებისა და სტატუსის შეწყვეტის, შეჩერებისა და მობილობის პირობების კიდევ ერთხელ გაცნობასთან და დეტალურად განხილვასთან, ასევე პროფესიულ სტუდენტთა გზამკლვევის განახლებასა და სტუდენტთა დახურურ ჯგუფებში განთავსებასთან დაკავშირებით.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, დასაქმების მაჩვენებლის, ზოგადი კმაოყიფილების განსაზღვრა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ ,,ვებტექნოლოგიების“ (ინტეგრირებული) პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობამ კმაყოფილება გამოთქვა არჩეული პროგრამით. გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 70% დასაქმდა კვალიფიკაციის მიხედვით, 44 % დასაქმდა კერძო სექტორში, ხოლო 33 % არის თვითდასაქმებული. შეკითხვაზე - ყოფილა თუ არა დამსაქმებლისგან წამოყენებული ისეთი საკვალიფიკაციო/ სპეციალური ცოდნის /უნარების მოთხოვნა, რაც კოლეჯში სწავლისას არ მიუღიათ და პასუხობს თუ არა კურსდამთავრებულის მიერ მიღებული ცოდნა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად, აბსოლიტური უმრავლესობის პასუხი იყო, რომ სრულად აკმაყოფილებს დამსაქმებელს ის ცოდნა და უნარები რომელიც მათ კოლეჯში მიიღეს.

წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ აკადემიაში პსოგრამების შეფასება ხორციელდება მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმების თანახმად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია,

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის და აკადემიის რექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება, რაც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში. პროგრამების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომელთა მეშვეობითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს სამიზნე პირების გამოკითხვას, რაც გათვალისწინებულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მესამე მუხლით, ასევე „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“. შეფასების მიზნით აკადემია იყენებს ასევე პირისპირ ინტერვიუს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით) და მუშაობის პროცესზე დაკვირვების მეთოდს. დოკუმენტით განსაზღვრულია კვლევაში მონაწილე პირთა წრე და ის პროცესებიც, რომელთა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით ხდება გასაუმჯობესებელი საკითხების გამოყოფა, ხოლო შემდგომ აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავება. რეკომენდაციები რეაგირებისთვის ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს/თანამშრომელს და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ცვლილებები. ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შდეგად, ასევე აკადემიის მიერ შემუშავებული „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესის“ თანახმად შუალედური შეფასების შედეგებიც შესაძლოა საფუძვლად დაედოს პროგრამაში ცვლილებების ინიცირებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, მატერიალური რესურსების შეფასებას, მარეგულირებელ აქტებში ცვლილებას ან საგანმანათლებლო სტანდარტებში ცვლილებების ინიცირებას, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში

კოლეჯს აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში გახორციელოს პროგრამაში ცვლილება ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიიის“ შესაბამისად, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილეს პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით; პროგრამის ცვლილების განხორციელებისათვის აკადემიაში იქმნება სამუშაო ჯგუფი ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. განსაზღვრულია ასევე, რომ დუალურ პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

განსაზღვრული რეგულაციებით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 2023 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- Iso 9001-2015 სერტიფიკატი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- გასაუბრებების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ პაკეტს თან ახლავს 2 სასწავლო გეგმა (არაინეგრირებული და ინტეგრირებული სწავლების ფორმისთვის. სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმებში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესით დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობა. წესში დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები. დოკუმენტში წარმოდგენილი მექანიზმები იძლევა შესაძლებლობას პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მომსახურებით. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯი სხვა პროგრამებთან მიმართებით ადექვატურად რეაგირებს პროფესიულ სტუდენტთა შემხვედრ საჭიროებებზე და აპირებს ამ პროგრამის ფარგლებშიც გაითვალისწინოს მათი ინტერესები და მაგ ცხრილების შედგენისას გაითვალისწინოს მათი საჭიროებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯის სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომელსაც პროფესიული სტუდენტი გამოიყენებს პრაქტიკული სწავლებისას. სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია ასახულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლი განსაზღვრავს "ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას", მასში განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა პირობა, პროცედურა და მასზე პასუხისმგებელი პირები. კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს მობილობით გადმოსული, სტატუს აღდგენილი და სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, კოლეჯში არსებულ სხვა პროგრამებთან მიმართებით და გამოთქვეს მზაობა, საგანმანათლებლო პროგრამით „ვებტექნოლოგიები“ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ფარგლებში არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები, ვინაიდან გეგმავს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა ხორციელდება კოლეჯის იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

სასწავლო პროცესი მიმდინარეობა იგეგმება უსაფრთხო გარემოში პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. აკადემიას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, კომპიუტერულ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, რომელიც გაკრულია B სასწავლო გარემოში, ქიმიურ ლაბორატორიაში პირველადი დახმარების წესები და ასევე მუშაობის წესები.
წესებს პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ სწავლის დაწყებისთანავე. სხვა სპეციფიურ რეგულაციას აღნიშნული პროგრამა არ საჭიროებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- **პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმი;**
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების სისტემას (ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე), შეფასების სახეებს (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), შეფასების მიმართულებებს (პრაქტიკული დავალება დაკვირვებით, პრაქტიკული დავალება და გამოკითხვა), შეფასების ინსტრუმენტების ტიპებს (შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, ვალიდაცია).

წესში დეტალურად არის აღწერილი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიღწევების, შეფასების ადმინისტრირების საკითხების, აპელაციის წესის, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურისა და წესის, ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესების.

წესის თანახმად შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს და ხელმოწერით ადასურებს პროფესიული განათლების მასწავლებელი. მის მიერ შექმნილ შეფასების ინსტრუმენტს (ტექნიკურ ნაწილში) ითანხმებს/ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 7 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის სპეციალისტს, უგზავნის/წარუდგენს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის პროექტს. სასწავლო პროცესის სპეციალისტი ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის შემოწმებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შინაარსობრივი ნაწილის შემოწმებას ახორციელებს დარგის სპეციალისტი. ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი 2 დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დაუშვებელია, შინაარსობრივი ვალიდაციის პროცესში ვალიდატორი იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა ამ ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი, რომლის თანახმად, ინტეგრირებულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. შეფასებისას, სავალდებულოა ასევე კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება და დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება. დაწესებულება უზრუნველყოფს ასევე პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზებას წესით დადგენილი ნორმებით. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან შვიდი სამუშაო დღის ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დარეგულირებულია ასევე დადასტურების კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესს, რომელიც დეტალურად აღწერს ყველა პროცედურას.

აკადემიის მიერ შემუშავებული წესით დარეგულირებულია შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეტალები. შუალედური შეფასების თარიღი და ფორმატი განისაზღვრება კონკრეტული ჯგუფისათვის რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო პროფესიული სტუდენტის ინფორმირება შუალედური შეფასების თარიღისა და ფორმატის შესახებ ხორციელდება მეილით, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემაში განთავსების ფორმით, რექტორის მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. აქვე განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: თეორიული შეფასება, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, პროექტის პრეზენტაცია, სიტუაციის განხილვა, ანალიზი და სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია, რომლებიც ექვემდებარება ვალიდაციას კოლეჯის მიერ დადგენილი წესით ან შუალედური შეფასების კომისიის ჩართულობით. აკადემია წესის მიხედვით, რექტორის ბრძანებით, განსაზღვრავს შუალედური შეფასების კომისიის შემადგენლობას, კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს, რომელიც უნდა შედგებოდეს სულ მცირე სამი წევრისაგან, მასში უმეტესობას უნდა ქმნიდეს ის პირები, ვინც არ ღებულობდა მონაწილეობას შესაფასებელი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. კომისიის კომპეტენციაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შუალედური შეფასების შედეგებზე დაყრდნობით დაწესებულებას მისცეს უკუკავშირი პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოჩენილ ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში გასცეს რეკომენდაციები.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო გამოცდას, წესის თანახმად გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ხოლო გარე მობილობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის ფაქტის შესახებ. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვალიფიკაციო გამოცდის მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: თეორიული გამოცდა, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, პროექტის პრეზენტაცია, სიტუაციის განხილვა, ანალიზი და/ან სხვა რელევანტური მეთოდები ან მათი კომბინაცია.

ასევე დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის დროს შექმნილი მტკიცებულება ინახება კოლეჯში სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში;

შუალედური შეფასების წესით განსაზღვრული შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის წესით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო გამოცდის სავალდებულოობა ვრცელდება 2024 წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებზე.

აქვე აღსანიშნია, რომ აკადემიას პროფესიულ სტუდენტთა თეორიული კომპონენტის შეფასებისთვის შესყიდული აქვს და იყენებს ელექტრონულ პლატფორმას https://www.bta.edu.ge/ge/posts/details/23/sagamotsdo-sivrtse საგამოცდო სივრცეში ავტორიზაციისთვის დაყენებულია მრავალდონიანი დაცვის სიტემა და მკაცრად კონტროლდება პროფესიულ სტუდენტთა აიპი მისამართები. პროგრამა საშუალებას აძლევს პროფესიული სტუდენტს გაეცნოს საკუთარ შედეგს კონფიდენციალურობის, ასევე გამჭირვალობისა და სამართლიანობის დაცვით.

შეფასების დაწყების წინ სისტემაში გამოდის შეფასების პროცესისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია (პირობები, დრო, აპელაციის პროცედურა და სხვ). პროგრამა „შემთხვევითი შერჩევითი პრინციპის“ დაცვით ალაგებს საკითხებს (ყველა პროფესიულ სტუდენტს მისდის განსხვავებული ნუმერაციით შეკითხვა) და ცვლის დისტრაქტორების თანმიმდევრობას.

იმ შემთხვევაში თუ პროფესიული სტუდენტს რომელიმე კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი, შეუძლია დაუბრუნდეს მას და დაასრულოს ნაშრომი. დასრულების შედგომ მას ეკრანზე გამოსდის შეტყობინება დაადასტურა თუ არა აღნიშნული მოდული/სწავლის შედეგი და სწორი პასუხების რამდენი პროცენტი დააგროვა , ასევე აჩვენებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს.

იქიდან გამომდინარე, რომ აკადემია ჯერ არ ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სხვა პროგრამების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის ოქმები, რამაც დაადასტურა რომ ისინი შემუშავებულია არსებული წესების სრული დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტების მხრიდან არსებული შეფასების სისტემა და წარმოდგენილი მექანიზმები შეფასდა, როგორც ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

აკადემიას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომელთა გათვალისწინებითაც ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს. ვერიფიკაციის მექანიზმებით, განსაზღვრულია მიზნები, რისკების სისტემა, ვერიფიკაციის ჯგუფის ამოცანები, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირი/პირები და მათი ფუნქციები, შიდა ვერიფიკაციის პროცესის მახასიათებლები, შიდა ვერიფიკაციის პროცესის ფაზები, შიდა ვერიფიკაციის შერჩევის სტრატეგია, ვერიფიკაციის ანგარიშის ფორმები. განსაზღვრულია ასევე, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, ვერიფიკაციის პროცესში რისკ ფაქტორების განსაზღვრის წესი, ვერიფიკაციის დასკვნების შედგენისა და განხილვის მიდგომები, რეკომენდაციების შესრულების, სამოქმედო გეგმის შედგენის მექანიზმები.

შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, განმახორციელებელი პირები, ვერიფიკაციის პროცედურა (შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების გამოთხოვა/შესწავლა/შეფასება, შეფასების პროცესის შეფასება, ანგარიშის მომზადება, ანგარიშის განხილვა, სამოქმედო გეგმა (საჭიროების შემთხვევაში) და ა.შ. ამ პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ქმნის ვერიფიკაციის გეგმას და მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დასამტკიცებლად რექტორს შესაბამისი გეგმის და სხვა დოკუმენტაციების (საჭიროების გათვალისწინებით) პროექტებს. დოკუმენტების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში რექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი ან რექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი. წესით განსაზღვრულია, რომ ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.

როგორც უკვე აღინიშნა, აკადემიაში ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია შერჩევითი პროცესია. რისკების ანალიზს აკეთებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი, ანალიზის შედეგების საფუძველზე ახორციელებს ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი და/ან ის შემთხვევები, როცა მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა სტუდენტს აქვს უარყოფითი და/ან დადებითი შეფასება მიღებული. რისკებში შესაძლოა სხვა შემთხვევებიც, მაგალითად ერთიდაიმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20%, ან ისეთი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ბოლო სამი წელია არ შემოწმებულა (თითოეული საგანმანათლებლო პროგრამიდან მაქსიმუმ ორი მოდული). ვერიფიკაციის პროცესისათვის ჯგუფი იყენებს ვერიფიკაციის კითხვარებს, რომელის სამუშაო ვერსიას ადგენს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური. ყველა ვერიფიკატორი იყენებს კითხვარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეჯერებულ ვერსიას. ვერიფიკატორი უზრუნველყოფს შესაბამისობის დადგენას იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად არის შეფასების ინსტრუმენტები საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი. რამდენად არის ინსტრუმენტი ვალიდური, ტექნიკური თვალსაზრისით გამართული, გასაგები ენით დაწერილი და რამდენად უზრუნველყოფდეს მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურებას.

შეფასების პროცესის ვერიფიკაციის დროს მოწმდება არის თუ არა დაცული შეფასების პროცედურები, არის თუ არა ის თანმიმდევრული, გამჭვირვალე და ობიექტური. ამ მიზნით ვერიფიკაციის ჯგუფის ყველა წევრს დოკუმენტები უნდა მიეწოდოს სრულად, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა გულდასმით გაეცნონ მათ. თითოეულმა მონაწილემ უნდა შევასოს ვერიფიკაციის კითხვარი, აღნიშნული კითხვარი გამოყენებული იქნება, როგორც ინდივიდუალური კომენტარების საფუძველზე საერთო მოსაზრებების ფორმირებისა და გაზიარების საშუალება. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი ხარვეზების/შენიშვნების/შედეგების ანალიზის შესაბამისად გაცემული რეკომენდაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აისახება ვერიფიკაციის ანგარიშში და ეცნობება ყველა დაინტერესებულ მხარეს. ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის ანგარიშში, რომელშიც ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური,სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური, იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. აღწერილი უნდა იყოს როგორც პროცესი, შედეგები და შეფასებები, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციები. ვერიფიკაციის შედეგების საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების დადგენილი პროცედურების ცვლილებები კოლეჯში დადგენილი სათანადო რეგულაციების გათვალისწინებით, ხოლო დაწესებულებამ ვერიფიკაციის ანგარიშის განხილვის საფუძველზე შესაძლოა შეიმუშაოს კონკრეტული მიზნის/მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულყოფილად უნდა აისახოს ყველა ის აქტივობა, რის განხორცილებასაც აპირებს ვერიფიკაციის ანგარიშში ასახული პრობლემატური საკითხების გადასაჭრელად.

ექსპერტთა მიერ მექანიზმების შესწავლის, კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დგინდება, რომ **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის ეფექტურ მექანიზმებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (41-ე მუხლის მე-4 პუნქტი) განსაზღვრავს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების/მონაცემების/ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესებს. შევსებული შეფასების ინსტრუმენტები ინახება სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულად, პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ. სამი წლის შემდეგ დირექტორის ბრძანებით დგება მტკიცებულებების განადგურების კომისია, რომელიც ადასტურებს მტკიცებულებების განადგურების ფაქტს შესაბამისი ოქმით, ოქმში იწერება: პროგრამის სახელწოდება, სტუდენტების სახელობითი სია, განადგურების თარიღი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/-მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

5. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

როგორც უკვე აღინიშნა, აკადემია განმსაზღვრელი შეფასების გარდა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებასაც, რომელიც ზომავს მოდულების სწავლის შედეგების ათვისების ხარისხს და შემდგომი სწავლებისათვის არსებულ პოტენციალს. აკადემიაში განმავითარებელი შეფასება ერთგვარი პროგრამის განხორციელების შეფასების ინსტრუმენტია და ეხმარება როგორც პროფესიულ სტუდენტს, ისე პროგრამის განმახორციელებელ პირს, უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას შესამნელად. პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა რომ ისინი თავად განსაზღვრავენ განმავითარებელი შეფასების პერიოდს, რაოდენობას და ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს. ამასთან, ისინი ვალდებული არიან უზრუნველყონ მოდულის ფარგლებში მინიმუმ 1 (ერთი) განმავითარებელი შეფასების ჩატარება. შესაბამისად დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში მუდმივად იქნება გამოყენებული განმავითარებელი შეფასება, ხოლო პროფესიული სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება სათანადო კონსულტაციით და მხარდაჭერით აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შეფასების წესი;
- ვერიფიკაციის მექანიზმები;
- პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

30.07.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: